20

სექტემბერი ცოდნის დღეა, ჩვენი ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო ახალი სასწავლო წელი.

გილოცავთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 სექტემბერი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 169 (9580) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეს ახალგაზრდები წლეულს პირველად შეაღებენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კარებს. გავა წლები და ინსტიტუტის კედლებში მიღებული ცოდნით შეიარაღებული სპეციალისტები საშუალო და სპორტულ სკოლებში შეუდგებიან პრაქტიკულ საქმიანობას.
ეს შორე იქნება. დღეს კი ისინი, უბრალოდ, ბედნიერები არიან. ახალი დღე ხომ არასოდეს მეორდება და არც არასოდეს ავიწყდება კაცს.

მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში

რეკორდების ნვიმა Roma „ფორო იტალიკოზე“

რომი. ეს მართლაც დიდებული ზეიმობა იყო. მძლეოსანთა მეორე მსოფლიო ჩემპიონატი თვით იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალექსანდრო პერტინიმ გახსნა და ამით კიდევ ერთხელ შეჯიბრების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. რომში, მსოფლიო მძლეოსნობის ფორუმზე 165 ქვეყნის 800-ზე მეტმა სპორტსმენმა მოიყარა თავი, მათ შორის ოცდარვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ოცდაათამდე მსოფლიო რეკორდსმენმა და ექვსკეთილმა.

სპეციალისტების აზრით მარადიულ ქალაქში ბევრი მსოფლიო რეკორდი დაიმზობა. ეს პროგნოზი ნაწილობრივ უკვე გამართლდა, ყოველ შემთხვევაში, გათამაშების პირველ ორი ფენომენალური რეკორდი უკვე დამყარდა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ორი ათეულის ფინალური გარდა 100 მეტრზე, რომელშიც თანამედროვეობის ორი უძლიერესი სპრინტორის, კანადელი ბენჯამინ ჯონსონი და ითხგბა ოლიმპიური



ბენჯამინ ჯონსონი.

ჩემპიონი, ამერიკელი კარლ ლუისი წინააღმდეგობდნენ. ამ გარბენს ცალკე ეკრანებზე მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს, ამიტომ ჩვენ ვიტყვით მხოლოდ ორ სიტყვას დაწერილზე. ჯონსონმა იდეალურად აიღო სტარტი და აქ მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. ამგვარად ახალი მსოფლიო რეკორდი — 9,83. ძველი მიღწევა, რომელიც 1983 წლის 3 ივლისს კოლორადო-სპრინგსში ამერიკელმა კევინ სმითმა დაამყარა, წამის მეათედით იქნა გაუმჯობესებული. ლუისი ამჯერად ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა.

მეორე მსოფლიო რეკორდი ქალთა სიმაღლეზე ხტომაშიც დაეცა. აქ დიდხანს პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს მსოფლიო რეკორდსმენი ბულგარელი სტეფკა კოსტადინოვა და ექსრეკორდსმენი თამარ ბიკოვა, რომელიც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ისევ ფავორიტთა მწყობრში ჩადგა. ბრძოლა ამჯერად სტეფკა კოსტადინოვამ მოიგო ახალი მსოფლიო რეკორდით — 209 სმ. ვერცხლის ჯილდო თამარ ბიკოვას 204 სანტიმეტრზე ნახტომმა მოუტანა.

გათამაშდა კიდევ რამდენიმე ოქროს მედალი. ქალთა მარათონულ რბენაში ყველას პორტუგალიელმა როსა მოტამ აჯობა — 2:25.17. ეს შედეგი მსოფლიო ჩემპიონატების ახალი რეკორდია. მეორე ადგილზე გამოსულმა საბჭოთა მარათონელმა ზოია ივანოვამ გამარჯვებულთან 7 წუთი წააგო. ვაჟთა ბირთვის კვრაში უძლიერესი შვეიცარიელი ვერნერ გიუნჰსერი იყო — 22 მ 23 სმ. ფინალურ რბენაში 10 ათას მეტრზე უძლიერესი კენიელი სტაიერი პოლ კიპკოვიჩი იყო — 27.38,63.

„ფორო იტალიკოს“ ოლიმპიურ სტადიონზე შეჯიბრებები გრძელდება.

სპრინტერთა ასეთი ტრიუმფის ვითარებაში გარკვეულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ვოროშილოვგრადელი მძლეოსნის ვიქტორ ბრიზგინის მეექვსე ადგილი (10,25), თუმცა, როგორც ხედავთ, თავისთავად ეს მეტად მაღალი მაჩვენებელი სადღეისოდ საგრძნობლად ჩამორჩება უმაღლეს საერთაშორისო მიღწევებს.

რომის ქუჩებში უამრავი მაყურებელი ადევნებდა თვალს შეჯიბრებას 20 კილომეტრზე სიარულში. თავიდან ბოლომდე მაღალ ტემპში განვლო მანძილი მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა, იტალიელმა დანიელ ასმომ. გულშემატკივართა აუწერელი ყიჟინის ქვეშ ახალმა მსოფლიო ჩემპიონმა პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი შედეგით 1

იხ. მე-3 გვ.

მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

ცხრა პრიზიორი

ქალგომნ ფერანი. დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა სპორტსმენებმა ოლიმპიადისწინა სეზონის ამ უმთავრეს შეჯიბრებაში პირველი გუნდური ადგილი დაიკავეს — 92 ქულა. მეორე ადგილზე, ისევე როგორც შარშან, აშშ-ს ათლეტები გავიდნენ — 77 ქულა, მესამე ადგილი კი ბულგარელმა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს — 50 ქულა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ, საბჭოთა ნაკრებში უმეტესად მხოლოდ ერთი ათლეტი დარჩა, 52 კგ წონითი კატეგორიის წარმომადგენელი ვ. თოგუზოვი, რომელსაც IV ადგილი ერგო (ექვსმა ოქროს მედალი მოიპოვა, ერთმა — კერძოდ, ბულგარელმა ვ. ზაგალკინმა — ვერცხლის და ორმა — ბრინჯაოსი). მეორე ადგილზე გასულ ამერიკელებს კი ორი ოქროს, სამ-სამი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები აქვთ. სხვაობა, როგორც ხედავთ, საგრძნობია.

საბჭოთა გუნდში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ: ს. ბელოგლაზოვი (57 კგ), ა. ფაძაევი (68 კგ), ა. ვარაევი (74 კგ), მ. ხადარცევი (90 კგ), ლ. ხაბელოვი (100 კგ) და ა. ხადარცევი (130 კგ). მეორე ადგილზე ჰ. ისაევი (62 კგ) გავიდა, მესამეზე კი ს. კარაჰჩაკოვი (48 კგ), და ვ. მოდოსანი (82 კგ).

მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში

ველოსიპედისტთა უხვი ნადავლი

ვენა. ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთი უმაღლესი ჯილდო მოიპოვეს. ამჯერად მათ ბრწყინვალედ იასპარეზეს 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში. ჩვენმა ნაკრებმა, რომლის ღირსებას ვიაჩესლავ ეკიმოვი, ვიქტორ მანაკოვი, სერგეი ხმელინინი და ალექსანდრე კრასნოვი იცავდნენ, დისტანციის გავლას 4.12,51 მოანდომეს.

ჭგუფურ რბოლაში მსოფლიო ჩემპიონი კუიბიშეველი მარატ გაფეევი გახდა. ახლა მას სხვადასხვა დროს მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონატების შვიდი მედალი აქვს, მათ შორის ოთხი — ოქროსი, ერთი ვერცხლისა და ორი — ბრინჯაოსი. მსგავსი წარმატება მსოფლიო ჩემპიონატებში არც ერთ სხვა საბჭოთა ველოსიპედისტს არა ჰქონია.

მძლეოსნები გაგსვერდის ტბიდან

კოპენჰაგენის მახლობლად, გაგსვერდის ტბაზე დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. წარუმატებლად იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მათ მხოლოდ 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლეს.

პირველი ადგილი, ისე, როგორც შარშან, დამაჯერებლად დაიკავეს გდრ-ის სპორტსმენებმა (4 „ოქრო“, 4 „ვერცხლი“). ყველასათვის მოულოდნელად მეორე ადგილზე რუმინელები გავიდნენ (4-2-2). მესამე ადგილი წილად ხვდათ ბულგარელ ნიჩბოსნებს (3-1-1).

ჩვენი გუნდი მოპოვებული მედლების რაოდენობით მე-7 ადგილს დასჯერდა.

წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

მძლეოსნობაში — გენადი არჯევანიძეს (თბილისი, „დინამო“); ალექსანდრ პერშეტინს (თბილისი, პროფკავშირები).

თავისუფალ ჭიდაობაში — გივი ვაჩიბერიძეს (ქუთაისი, პროფკავშირები), ხვიჩა ფირანიშვილს (თბილისი, „დინამო“), დავით ოსეფაშვილს (თბილისი, პროფკავშირები), შოთა შონუსს (ქობულეთი, პროფკავშირები), დავით ხარებავს, რევაზ კუნჭულიას (ორივე — ქუთაისი, პროფკავშირები), ივანე ივანიშვილს (კასპი, პროფკავშირები), კობა შარაბიძეს (თბილისი, პროფკავშირები), სულიკო ცეცხლაძეს (ბათუმი, პროფკავშირები), არჩილ ხმიადაშვილს (თბილისი, „დინამო“), ზაზა ტატანაშვილს, ალექსანდრე მამალაძეს (ორივე — თბილისი, პროფკავშირები), შუქრი ყიფიანს (ქობულეთი, პროფკავშირები), მალხაზ ეგაძეს, ზურაბ გაბაშვილს (ორივე — რუსთავი, პროფკავშირები), დავით რჩეულიშვილს (თბილისი, პროფკავშირები), კობა ჩაჩანიძეს (სოხუმი, „დინამო“), კობა დოგუზაშვილს, გელა გელაშვილს, სულიკო ნიკოლაძეს, სპარტაკ მაკოევს, გიორგი სულთანიშვილს, გია ქოტიშიძეს (ყველა — თბილისი, „შრომითი რეზერვები“). ვლადიმერ კლიმაშვილს, ზვიად გიგაურს (ორივე — გორი, პროფკავშირები), როლანდ გიორგაძეს, შალვა ხიზანიშვილს (ორივე — თბილისი, პროფკავშირები), როლანდ გოგრიჭიანს (ონი, პროფკავშირები), კობა ჯელილას, დავით ჭელიძეს, აკაკი ჩხეიძეს (სამივე — ქუთაისი, პროფკავშირები), ტარიელ ჩარაშვილს (კასპი, პროფკავშირები), დავით ბერიძეს (ქუთაისი), ვასილ ციხისელს (თბილისი, ასკ).

ფრენბურთელთა ტურნირი

ჩვენები — ჩეხოსლოვაკელები



ჟენევა. ევროპის ჩემპიონის ცხენოსნობაში (დაბრკოლებების გადალახვა) ფრანგი პიერ დიურანი გახდა. მან წარმატებით გაიარა სამი ეტაპი და საერთო ჯამში მხოლოდ 4,75 საჯარიმო ქულა მიიღო. ვერცხლის მედალი ჯონ ვიტეიკერს (დიდი ბრიტანეთი) ერგო (6,31 ქულა), ბრინჯაოსი — მის თანამემამულეს ნიკ სკელტონს (12,92 ქულა).

ხუმი. დამთავრდა მშვილდოსანთა საკავშირო ჩემპიონატი. ქალთა შორის პირველი ადგილი ალმაათელმა ირინა ლეონოვამ დაიკავა, ვაჟებში უძლიერესი ლეოველი კონსტანტინე შკოლნი იყო.

კაუნასი. სსრ კავშირის ჩემპიონობა და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელმა კაუნასის „ჟალგირისმა“ კალათბურთელთა გუნდმა მეორე მატჩიც მოუგო გფრ-ის უმაღლესი ლიგის გუნდს „ჰაგენს“ — 84:55 (48:23).

ბალინი. ვ. სავინის IX მემორიალში სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა მესამე მატჩი საფრანგეთის ნაკრებს მოუგო — 3:1. ფინალურ ჭგუფში თამაშის უფლება აშშ-ს, საფრანგეთისა და იაპონიის სპორტსმენებმაც მოიპოვეს.

მოსკოვი. ბალახის ჰოკეიში ევროპის ჩემპიონი ჰოლანდიის ვაჟთა ნაკრები გახდა. გადამწყვეტი ორთაბრძოლა ინგლისელებთან ფრედ — 1:1 დამთავრდა. პენალტებით ჰოლანდიელებმა გაიმარჯვეს — 4:1.

პირველი ზარის მოლოდინში

დღეს ახალგაზრდა სპეციალისტი ალექსანდრე ბერუაშვილი, როგორც ფიზკულტურის მასწავლებელი, პირველად შეაღებს სკოლის კარს...

— ბერუაშვილი ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი იყო, — გვითხრეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში. — სწავლასა და სპორტს ერთმანეთს კარგად უთავსებდა. ლენინური სტიპენდიატი იყო და 64 უჯრიან შაშში რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონის სახელიც დაისაკუთრა. საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აქტიურობდა. კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს. წლეულს მასობრივ-ფიზკულტურული ორგანიზაციის ფაკულტეტი დაამთავრა და იმედი გვაქვს, პედაგოგიურ ასპარეზზეც გაამართლებს ჩვენს იმედებს.

ალექსანდრე ბერუაშვილი სამუშაოდ თბილისის 53-ე საშუალო სკოლაში გაწვესეს.

— იგი აქ ჩვენი მოთხოვნით მოავლინეს. ვცდილობთ სკოლაში ახალგაზრდა, კარგი სპეციალისტები მოვიწვიოთ. ბერუაშვილი ინსტიტუტში კარგად დაგვიხასიათეს და ჩვენც გვჯერა, რომ არჩევანში არ შევმცდარვართ. აქ მას დახვდებიან გამოცდილი სპეციალისტები, რომლებიც მხარში ამოუდგებიან, რჩევა-დარიგებას მისცემენ, — გვითხრა სკოლის დირექტორმა ლამარა მარგველაშვილმა.

— მიხარია, რომ სამუშაოდ ამ სკოლაში მოვხვდი, — გვეუბნება ალექსანდრე ბერუაშვილი. — ბრწყინვალე სპორტდარბაზი გვაქვს. ახლა საცურაო აუზიც შენდება. ჩემი მოწაფეობის წლებში ასეთ დარბაზზე და აუზზე მხოლოდ ვოცნებობდით. და აი, ეს ოცნება ახლა ამხდება.

◎ ალბათ პირველი ზარის მოლოდინში ღელავთ, არა?

— რა თქმა უნდა! მართალია, სტუდენტობისას პრაქტიკა გვქონდა და ბავშვებთან მუშაობას თითქოს მივეჩვიე, მაგრამ სულ სხვაა, როცა ნამდვილ სამუშაოზე მიდიხარ. ასე ვღელავდი მაშინაც, როცა პირველ კლასში, პირველ გაკვეთილზე წამიყვანეს.

◎ ალბათ გეცოდინებათ, რომ ამ სკოლას მდიდარი სპორტული ტრადიციები აქვს. აქ ძალიან უყვართ ცურვა, ძძლეოსნობა, ფეხბურთი და, რაც მთავარია, კალათბურთი. ამ სკოლის კალათბურთელთა გუნდმა „მართვემ“ შორს გაითქვა სახელი. თქვენ კი მოშაშე ხართ. ეს ხომ არ გაიფიქრებთ?

— რა თქმა უნდა, როცა ჩემი აქ მუშაობა გადაწყდა, ამ სკოლის ყველა მიღწევას გავეცანი. გავეცანი და ამან კიდევ უფრო ამაღელვა. ვეცდები მოსწავლეებს მაშიც შევაყვარო. ბავშვებს ვეტყვი, რომ სპორტის ყველა სახეობა თავისებურად მიმზიდველი, ლამაზი და საინტერესოა. ვეცდები მათ გავაგებინო, რომ, მართალია, მაში ფიზიკურ მოძრაობასთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ სპორტის ეს სახეობა გონების სავარჯიშოდ საუცხოო საშუალებაა. გასული საუკუნის ცნობილი გერმანელი პედაგოგი დისტერვეგი წერდა: ცუდი მასწავლებელი მხოლოდ გადმოსცემს ჭეშმარიტებას, კარგი მიგნებას ასწავლისო. მე შევეცდები ბავშვებს სწორედ ამგვარი მიგნება ვასწავლო.

ავთანდილ ბუკიშელი.



უკან დარჩა სიახლისავე საბო
ბულო არდადეგები. მოსწავლებ
მდიდარი შთაბეჭდილებებით აღსა
სენი მიუსხდებიან მერხებს. თბი
ისის 102-ე საშუალო სკოლის მე
რვეკლასელი მალხაზ შუშიაშვილ
თანაკლასელებს იმაზეც უამბობ
თუ როგორ გაიმარჯვა ამ ზაფხულ
ხობში გამართულ ნორჩ მოცურა
ვეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში
(„ოლიმპიელები ჩვენს შორის არ
იან“), სადაც ყველას აჯობა 50
100 და 200 მეტრზე გულაღმა ცუ
რვაში.

სასექტემბრო საჩუქარი

7 წელია შენდება ცხინვალის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა. ვინ იცის, შენებლობა კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა, რამდენიმე თვის წინათ დანიშნულ ახალ სამუშაოთა მწარმოებელ სპარტაკ ქოქოევს რომ არ ეყოჩაღა. სპარტაკი თავიდანვე პასუხისმგებლობით მოეკიდა დაკისრებულ მოვალეობას და რამდენიმე თვეში იმაზე მეტის გაკეთება შეძლო, რაც შვიდი წლის მანძილზე გაეკეთეს მისმა წინამორბედებმა.

ლამაზად შელესილმა კედლებმა და შემინულმა ფართო ფანჯრებმა შენობას შრო და ლაბათი შემატა. სკოლის პირველ სართულზე ორ რიგად ჩამწკრივებულან საშხაპეები და გასახდელები. აქვეა ოთახები მწვრთნელებისა და მომსახურე პერსონალისათვის, მედპუნქტი და ლაბორატორია...

ლეილა სუბელიანი,
„ლელოს“ კორ.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე თბილისის ბევრ რაიონში გაიმართა ღია ბაზრობები, რომლებსაც ათასობით დედაქალაქელი და ჩამოსული სტუმარი ეწვია. ეს სურათი სპორტის სასახლის წინ გადავიღეთ.

ჯემალ კახრაძის ფოტო.

ეშიგელთა კომიტეტის დახმარებით

ჩუსთავის შოთა რუსთაველის სახელობის მე-2 საშუალო სკოლას (დირექტორი ეთერ ჭიპაშვილი) მალე არსებობის 10 წელი შეუსრულდება. მოსწავლეთა აღზრდის საქმეში ფიზკულტურასა და სპორტს დიდი ადგილი ეთმობა.

სკოლის მშობელთა კომიტეტის დახმარებით და შემწეობით მოსწავლეებმა გააშენეს სპორტული მოედნები, რომელთა საზეიმო გახსნაც ამას წინათ მოეწყო. ამ დღესთან დაკავშირებით აქ სასპარტაკიადო სპორტსკოლის აღსაზრდელები მოიწვიეს. მოსწავლეები ერთმანეთს ჰიდაობაში, სიგრძეზე ხტომასა და ღერძზე აწევაში შეეჯიბრნენ.

სპორტული მოედნების საზეიმო გახსნაზე საინვენებელი გამოსვლები მოაწყვეს ტანვარჯიშში.

ზურაბ ჩაჩავა.

რუსთავი.

გაზეთი პასუხს ელის

საცხენოსნო სპორტი ჩვენს რესპუბლიკაში აღორძინების გზაზე დგას, თუმცა ყველა რაიონში როდი ექცევა მას სათანადო ყურადღება. სპორტის ზოგიერთი მესვეური დარწმუნებულია, რომ ცხენოსნობის განვითარება დიდ ხარჯებს მოითხოვს, არადა, ადგილობრივი ჯიშის ცხენების შენახვა ჯერ კიდევ მაინც არ უჩვენდათ ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, როცა ძალიან მცირე შემოსავალი ჰქონდათ. იმედად ის გვრჩება, რომ ამ სახეობის ზოგიერთ ჭეშმარიტ გულშემატკივარს დღემდე არ მოუშორებია ცხენი და შვილივით უვლის მას, ელის როდის დაუძახებენ, როდის გაიმართება შეჯიბრება ცხენოსნობაში.

ამას წინათ, ჩხოროწყუს რაიონულმა გაზეთმა „ნაპერწკალმა“ გამოაქვეყნა საინტერესო წერილი სათაურით „ვინ შეკაზმავს ცხენს?“ წერილის ავტორი მოგვითხრობს ჩხოროწყუს რაიონის საცხენოსნო სპორტის მდიდარ ტრადიციებზე. აქაური სპორტსმენები წარმატებით გამოდიოდნენ თურმე როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო შეჯიბრებებში. განსაკუთრებით უსახელებია თავი ბორის პაპასკირს — სპორტზე და ცხენოსნობაზე უსაზღვროდ შეყვარებულ კაცს. მან შვილებიც სპორტსმენებად აღზარდა. უფროსი ვაჟი, აწ განსვენებული ბონდო პაპასკირი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რაიონულ საბჭოს, უმცროსი ბენო კი მამის კვალს გაჰყვა — არაერთხელ ისახელა თავი რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებებში. ბორისიც რამდენჯერმე იყო საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, საკავშირო შეჯიბრებებშიც გამოდიოდა. პაპასკირების გარდა სპორტის ამ სახეობის ენთუზიასტები იყვნენ ნოე გოგუა, არსენ ქარჩავა, გოგლიკო პაპასკირი, კეცია ჩიქოვანი, პლატონ არახამია, არსენ ჩიქოვანი, ხუტა ჭკადუა, აკაკი თოდუა, ჩოქონ თოლორდავა, მაი და ჩაქა გოგუები და სხვ.

რამდენიმე წლის წინათ კომკავშირის ჩხოროწყუს რაიონულმა კომიტეტმა ითავა რაიონში საცხენოსნო სპორტის აღორძინებაზე ზრუნვა და ყველა სოფელს, უპირველეს ყოვლისა კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას მოუწოდა წვლილი შეეტანა ამ საქმეში. ჩატარდა სპორტული ღონისძიებები, რომელთა პროგრამაში ძირითადად ეროვნული სახეობები იყო შეტანილი. გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, ბევრმა კარგად გაწვრთნილი ცხენი გამოიყვანა. ასე რომ, პერსპექტივა საიმედო იყო, მაგრამ აი, კარგად დაწყებული საქმე შეფერხდა, ენთუზიაზმი ჩაკვდა. ცხენი და მხედარი კვლავ სანთლით საძებარი გახდა ამ რაიონის სოფლებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში. ეს მაშინ, როცა რაიონში შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია იპოდრომის ასაშენებლად, არც ადგილობრივი ჯიშის სპორტული ცხენების შეძენა და შენახვა გაუჭირდება ვინმეს. სწორედ ამიტომ დასვა გაზეთმა კითხვა „ვინ შეკაზმავს ცხენს?“. ამ კითხვას პასუხი სჭირდება.

ნუგზარ ფხაკაძე,
„ლელოს“ საკ. კორ.

სოფელი ღონიერია...

ქალაქს დაემსგავსა

მახარაძის რაიონში ბევრი ლამაზი სოფელია. ერთ-ერთი მათგანია ნატანები. ნატანების სპორტის სასახლე სოფელს კი არა, ნებისმიერ ქალაქს დაამშვენებდა. ალბათ დაუჯერებელია, მაგრამ სოფელში არის ათი მარტივი ტიპის მოედანი, ფეხბურთის მინდორიც.

ნატანელებმა შრომაც მისაბაძი იციან და დასვენებაც. თავმჯდომარე — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი გივი წითლიძე ყველა ღონეს ხმარობს სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის გასაშლელად.

— ჩვენს სოფელში 1661 კომლი ცხოვრობს, — გვითხრა თავმჯდომარემ... — აქედან 2800-მდე ახალგაზრდაა, თითქმის ყველა მისდევს ფიზკულტურასა და სპორტს. სოფელში ყველა პირობაა შექმნილი მათთვის, ვისაც გაჯანსაღება სურს. სპორტის სასახლე ჩვენი დანაზოგით ავაშენეთ. რატომ ვაქცევთ ასეთ დიდ ყურადღებას მასობრივ ფიზკულტურასა და სპორტს? იმიტომ, რომ გვინდა სულით და ხორცით ჯანსაღი ახალგაზრდები გვყავდეს. გარდა ამისა, სპორტი გეგმების გადაჭარბებით შესრულებაშიც გვეხმარება. ესეც ხომ ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. მარტო ის რად ღირს, რომ მას შემდეგ, რაც სპორტს მივსდევთ, 5-ჯერ იკლო ავადმყოფობის მიზეზით სამუშაოს გაცდენათა რიცხვმა. ბაზებს კი ვაშენებთ, მაგრამ, ცხადია, კარგი, საქმის მცოდნე ფიზკულტურის მეთოდისტის გარეშე შორს ვერ წავალთ. ამ მხრივ საყურადღებო არაფერი გვაქვს. ფიზკულტურის მეთოდისტი მეცლად მიმნოშვილი საქმეს სამაგალითოდ უძღვება. მისი თაოსნობით სოფლის ცენტრის სპორტულ მოედანზე ყოველ დილით გამოდის სავარჯიშოდ გამჯანსაღებელი ჯგუფი.

— დიდ სპორტს თუ უზრდით მომავალს?

— სოფელში არის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა. აქ მეცადინეობს 250-მდე ნორჩი მოჭიდავე, ფეხბურთელი, კალათბურთელი, ფრენბურთელი და მოჭადრაკე. ჩვენი სპორტსმენები წარმატებით გამოდიან როგორც რაიონულ და რესპუბლიკურ, ისე საკავშირო შეჯიბრებებშიც. თუმცა ნაკლი ჯერ კიდევ გვაქვს. მიღწეულით დაკმაყოფილება - ერთ ადგილზე დგომას რომ ნიშნავს, ეს კარგად გვესმის, ამიტომ მომავალში მეტის გაკეთებას ვფიქრობთ. საჭიროა უფრო სრულად დაიტვირთოს სპორტული მოედნები და დარბაზები, უფრო ფართოდ ჩავაბათ მოზარდები და მშრომელები ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში. გვჯერა, რომ თუ სოფლის ახალგაზრდობას დასვენებისა და გართობისათვის ხელსაყრელ პირობებს შევუქმნით, ქალაქისკენ მათ სწრაფვას შევაჩერებთ.

ლევან ქავთარაძე,
„ლელოს“ კორ.

რაიონული გაზეთის ფურცლებზე

მოუსვენარი სამთოელები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა შარშან კავკასიონის ხდის ხეობაში უსაფრთხო მწვერვალი დაიპყრეს და მას ელიზბარ მიხელის (სამთო მექანიკის ინსტიტუტის უფროსი დირექტორი) სახელი უწოდეს. სამთოელები იყვნენ უშგულში, ბოდორნაში, ფიტარეთში, არმაზში... ტურისტული ქარვები გაშალეს ბეთანიაში, შიომღვიმეში, სამთავისში. გარდა ამისა, ინსტიტუტის თანამშრომელი ქალები ხშირად მონაწილეობენ ბაკურიანში გამართულ 8 მარტისადმი მიძღვნილ ახალგაზრდულ შეკრებებში. ამ ზაფხულს მასობრივი ტურისტული ლაშქრობები მოეწყო სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარასა და მესხეთ-ჯავახეთში.

ლაშქრობაში ყველაზე საჭირო კაცი, სპორტის ოსტატი, მთამსვლელი ნოდარ ნადირაშვილი წელს სვანეთში ტურისტად არ წასულა. იგი სტიქიური უბედურებისგან დაზარალებულთა მაშველ ჯგუფებს შეუერთდა.

ინსტიტუტის სპორტულ ცხოვრებაში თანამშრომელთა მეოთხედი ნაწილია ჩაბმული. სპორტულ სექტორს ხელმძღვანელობს სამთო გეოფიზიკის ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი მერაბ სანიკიძე; სწორედ მისი მოწადინებითაა ღონ ინსტიტუტის სპორტული ცხოვრება საინტერესო.

საქართველოს სსრ მინისტრ საბჭოს, პროფკავშირთა რესპუ ლიკურ საბჭოსა და საქართველ ალკა ცენტრალური კომიტეტ 1987 წლის 1 ივნისის დადგენილ ბით, სამეცნიერო-კვლევითი ორ ნიზაციებისა და სამრეწველო წარმოთა კოლექტივების რესპ ლიკურ სოციალისტურ შეჯიბ ბაში 1986 წლის შედეგების მი დით გამარჯვებულთა შორ არის საქართველოს სსრ მეც რებათა აკადემიის გ. წულუკი სახელობის სამთო მექანიკის ი ტიტუტიც (დირექტორი — საქარ ველოს მეცნიერებათა აკადემ წევრ-კორესპონდენტი ირაკლი რაბიშვილი).

სოციალისტური შეჯიბრების პრ გრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვ პუნქტი სპორტია. სამთო მექან კის ინსტიტუტში სპორტს თავ საწონად კი არა, გაკაჟებისა გაჯანსაღების მიზნით მისდევ დიან, სწორედ სპორტი ეხმარ მათ ჯანსაღი, მეგობრული კო ქტივის შექმნაში.

შორენა ფიცხელაძე,
თბილისის ხახელმწიფო უნივერ ხიტეტის ჟურნალისტიკის ფაკ ლტეტის სტუდენტი.

მოკლედ

თბილისის ჰადრაკის სასახლე დამთავრდა ქალაქის ფიზკულტურ ისა და სპორტული ორგანიზაციებ გაერთიანებული კომიტეტის ჯამრ თელობის XI სპარტაკიადის პრო გრამით გათვალისწინებული შეჯიბ რება ჰადრაკში. შეჯიბრებაში მონა წილეობდა 12 გუნდი (3 ვაჟი, ქალი). ფინალში ერთმანეთს შეხ დნენ ჰადრაკის სასახლისა და უ აღლესი სპორტული დაოსტატებ № 1 რესპუბლიკური სკოლის კო ლექტივი. გაიმარჯვა და ჩემპიონ სახელი მოიპოვა ჰადრაკის სასახ ლის გუნდმა (2,5:1,5), III ად ლზე სპორტის სასახლის მოჭადრა კეთა გუნდი გავიდა.

„ლელოს“ კორ

საქართველოს სპორტსახკომში

სხვებს სამაგალითოდ გამოადგებაო

საოცარი რამაა ჭორი. აქ ნათქვამს აქ ნათქვამი ემატება და მთიდან დაგორებულ თოვლის გუნდას ემსგავსება. მერე დადის ჭორი, იზრდება, იბერება და ბოლოს მის ავტორსაც, თუ მონაგონი იცი, თავისი ტუუილისა თავადვე სჯერა. სხვათა შორის, ამ საქმეში დედაკაცებს არც ჭამაკაცები ჩამორჩებიან. რას არ ამბობენ, რაღას არ ამტკიცებენ... ზოგს საკუთარი უურით მოუსმენია, ზოგიც თვითმხილველი გამხდარა ვინაც, ზე და რაღაზე არ ავრცელებენ ჭორს: მხახობებზე თუ რაღაც მოსალოდნელ ხტიჭიურ უბედურებაზე, მეცნიერებზე თუ სატრანსპორტო კატასტროფაზეც ხაზოგადო მოღვაწეზე თუ რაღაც ეპიდემიაზე, სპორტსმენზე თუ...

დიახ, ჭორიკანების უურადღების გარეშე არც სპორტი და სპორტული ხაზოგადოებრიობა რჩება. არადა, ასეთ დაუხაბუთებელ, ხინამდვილეს მოკლებულ ხმებს ხიკეთემდე არახოდეს მივუყვანივართ და ვერც მივუყვანს. ვიღაცის ერთი შეხედვით უწუინარმა ხუმრობამ ბალხში შეიძლება შეშფოთება და პანიკაც კი გამოიწვიოს. ზოგიც შეგნებულად ცდილობს მავანს და მავანს ხახელი გაუტეხოს, პრესტიჟი შეურუიოს, ხაზოგადოებაში თავი მოხწრას... მერე, ბიჭი ხარ და გაარკვიე ტუუილ-მართალი ან იმ მითქმა-მოთქმის ხათავე.

ახლახან კიდევ ერთი ჭორი იმ თოვლის გუნდასავით დაიძრა, მაგრამ ხაბედნიეროდ, დროზე შეჩერდა. ხამწუხაროდ, „ავტორი“ აღმოჩნდა ხაქართველოს ხპორტხახკომის მთავარი მწვრთნელი ხინქრონულ ცურვაში პაოტრ კოჩინევი. მან თავისი „არაკი“ ხაქართველოს ხინქრონული ცურვის ოსტატთა ნაკრების უფროს მწვრთნელ ნატალია მაშუკს „მიუძღვნა“.

ნატალია მაშუკის მისამართით ჩვენს გაზეთს ქების ხიტყვები არაოდეს დაუშურებია. „ლელოს“ მკითხველები მას კარგად იცნობენ. და მაინც, რამდენიმე ხიტყვით შეგახხენებთ, რომ მაშუკი, ახალგაზრდა ხპეციალისტი, ორიოდე წლის წინათ მოსკოვიდან თბილისში მოიწვიეს, რათა ხაქართველოს ნაკრები ჩვენი ქვეყნის ხალხთა IX ხაკავშირო ხპარტაკიადისათვის მოემზადებინა.

ნატალია მაშუკი გატაცებით შეუდგა მუშაობას. იგი, შეიძლება ითქვას, თბილისის ლენინური კომკავშირის ხახელობის ხაწყოსნო კომპლექსში ათენებდა და ალამებდა. მისმა თავდადებულმა შრომამ ხულ მალე ნაყოფიც გამოიღო. უწინარეს ყოვლისა, ნატალია მაშუკის დამხახურებაა, რომ დღეს ჩვენი რესპუბლიკის ხინქრონული ცურვის ოსტატები ხაბჭოთა კავშირის ბალხთა IX ხპარტაკიადის, ხაკავშირო პირველობის, თავის გათამაშებისა და ევროპის იუნიორთა ჩემპიონატის გამარჯვებულები თუ პრიზორები არიან. ხხვათა შორის, ხაკავშირო ჩემპიონატის ფინალში, წყვილთა თარჩაში, ხაქართველოს ხამი წყვილი ახპარეზობდა. ახეთი წარმატებებით, მოსკოველთა გარდა, ხხვა ვერავინ მოიწონებს თავს. ხულ ახლახან კი თბილისელი ბრიხტინა ფალახანდი ევროპის ჩემპიონატიდან ვერცხლის მედლით დაგვიბრუნდა. ხხვა წარმატებების გახხენებაც შეიძლება, მაგრამ ყოფილრობთ, რომ ესეც ხაკმარისია. ახალგაზრდა ხპეციალისტს ამაგი დაუფახეს. რესპუბლიკის ერთ-ერთ ხაუკეთესო მწვრთნელად აღიარეს, ხაქართველოს დამხახურებული მწვრთნელ ი ს წოდება მიანიჭეს, ბინაც მისცეს... ხხვათა შორის, ნატალია თბილისში გათხოვდა და ახლა ხაქართველოს ნაკრებთან ხამუშაოდ დროებით მოწვეულად აღარც ითვლება.

და აი, კოჩინევმა ხმები დაყარა, თითქოს ნატალია მაშუკი თბილისში ხამუშაოდ პირადმა ინტერესებმა ჩამოიყვანა, რომ მოსკოვში შეკრებებზეც პირადი ინტერესების გამო მიეშვზავრება, რომ ხაქართველოს ნაკრებისთვის რეზერვის მომზადებაზე არ ზრუნავს, რომ, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ მიღწევებს, რესპუბლიკაში ხინქრონული ცურვა არ არხებობს, რომ ჭაბუკთა ხაკავშირო თამაშებისათვის გუნდი არ ემზადება, რომ მაშუკი ხადაცაა თბილისს მიატოვებს და კვლავ მოსკოვში გადავა ხაცხოვრებლად... კოჩინევი განხაკუთრებით გაიქტიურდა უკანასკნელ ხანს, როცა მაშუკი მოსკოვში იყო შეკრებაზე, შემდეგ კი — ხტრასბურგში, ევროპის ჩემპიონატზე. ამ ხმების უხაფუძვლობაში დახარწმუნებლად დიდი მიხვედრილობა არ არის ხაჭირო, მაგრამ მაინც, კიდევ ერთხელ შეგახხენებთ, რომ მაშუკი თბილისში ჩამოვიდა ჩვენი მოწვევით, რათა რესპუბლიკის გუნდი ხაკავშირო ხპარტაკიადისთვის მოემზადებინა, თუ იგი ამ მოწვევას დათანხმდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ახალგაზრდა ხპეციალისტი იყო, აქ ხაინტერესო ხამუშაო ელოდა და როგორც მწვრთნელს თავის გამოჩენის ხაშუალება ეძლეოდა. რა არის ამაში ცუდი? ან კიდევ, მოსკოვში შეკრებაზე ჩვენი გუნდის წევრები განა უმწვრთნელოდ უნდა წახულიუვნენ? ან განა კოჩინევმა არ უნდა იცოდეს, რომ მაშუკის ხელმძღვანელობით შეირჩნენ ხინქრონულ ცურვაში ნაკრების კანდიდატები, რომლებიც ჭაბუკთა ხაკავშირო თამაშებისთვის ემზადებიან? ყოველივე ამის შესახებ „ლელოს“ მკითხველი ინფორმირებული იყო, კოჩინევს კი ეს ყველაფერი არ უნდა გაიგოს, ან ვერ გაუგია.

ხხვათა შორის, როცა ხაქართველოს ხპორტხახკომის ხელმძღვანელობამ კოჩინევს ჩვენი ახალგაზრდულ ტრენერს შემაგებლობაზე ხახელება მოხთხოვა, მან ეს ვერ შეძლო.

იხიც უნდა ითქვას, რომ ხინქრონულ ცურვაში გუნდის რეზერვის მომზადება კოჩინევის პირდაპირი მოვალეობა იყო და, თუ ეს არ კეთდებოდა, განგაში მაშინ უნდა ატეხა, თანაც ახლა კი არა, კარგა ხნის წინათ. ის კი აქამდე დუმდა.

კოჩინევმა იხიც კარგად იცოდა, რომ მაშუკი მოსკოვში ხაცხოვრებლად გადახვლას არ აპირებდა, უფროს მწვრთნელს აქ მუშაობის და ცხოვრების ნორმალური პირობები შეუქმნეს და, როგორც ჯენტლმენი, აქვე დარჩებოდა.

ახლა ძნელი ხათქმელია, რა მოხაზრებით ავრცელებდა კოჩინევი ახეთ ხმებს. იქნებ ეს ახალგაზრდობითა და გამოუცდელობით დაემართა, ან იქნებ ვიღაცის „კარნახით“ აკეთებდა ამას?

ყოველივე ამის შესახებ გუშინ ხაქართველოს ხპორტხახკომის კოლეგიაზე იმხჯელეს.

აქ დარწმუნდნენ კოჩინევის არაკომპეტენტურობაში, როგორც ხპეციალისტს, უნდობლობა გამოუცხადეს და გადაწყვიტეს, რომ ხაკავშირო ხპორტხახკომის წინაშე დახვან ხაკითხი მისი ხამხახურიდან განთავისუფლების შესახებ.

ვფიქრობთ, პაოტრ კოჩინევის „ისტორია“ სხვებს მაგალითად გამოადგებათ.

ნაკრების ბოლო რეპეტიცია

ბელგრადში განვლილ შაბათს შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფებბურთში იუგოხლავიასა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. ხაბჭოთა ფებბურთელებს 9 სექტემბერს მოსკოვში ევროპის ჩემპიონატის მეტად ხაპახუხისმგებლო შესარჩევი მატჩი მოელით ხაფრანგეთის ნაკრებთან. ამდენად, ჩვენი გუნდისთვის ეს ბოლო რეპეტიცია იყო, მაგრამ იუგოხლავიელებსაც მეტად დიდმნიშვნელოვანი თამაში აქვთ ინგლისის ნაკრებთან, ამიტომ ისინიც არანაკლებ დაინტერესებული იყვნენ ამ ხაწვრთნელი შეხვედრით.

მატჩს 20 ათასი მაყურებელი დაესწრო, თამაშის ბედი გადაწყვიტა 42-ე წუთზე დობროვოლსკის მიერ დაახლოებით 25 მეტრის მანძილიდან გატანილმა ერთადერთმა ბურთმა — 1:0.

ხაბჭოთა ნაკრებმა მატჩი ახეთი შემადგენლობით ჩაატარა: ვიქ. ჩანოვი, ლოხევი, ხადიატულინი, კუზნეცოვი, იაროვენკო (ალეინიკოვი), ლიტოვჩენკო (რაცი), ტიშჩენკო, იაკოვენკო (მიხაილიჩენკო), როდიონოვი (ბელანოვი), დობროვოლსკი, პროტასოვი.

ნაკრების შემადგენლობაში პირველად გამოვიდნენ ლოხევი, ტიშჩენკო და იაროვენკო, როგორც გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ აღნიშნა, ახალგაზრდა ფებბურთელებმა გაამართლეს ი ა ნ ე ბ ი, კარგად გამოიყურებოდნენ დობროვოლსკი და იაროვენკო, მაგრამ საერთო ანსამბლიდან ამოვარდნილი ჩანდა დნეპროპეტროვსკელი პროტასოვი, რომელმაც სრულად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობანი.

იუგოხლავიის ქალაქ ვალევოში ერთმანეთს შეხვდნენ ამ ქვეყნისა და სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. ხაბჭოთა ფებბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1, ბურთები გაიტანეს ბარანაუსკასმა და ტატარჩუკმა, მასპინძელთაგან ერთი გოლით უპასუხა ბობანმა.

ხაბჭოთა ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა: მანანკოვი, ჩუგუნოვი, კუზნეცოვი, ჰედია, კოლოტოვკინი, სკლიაროვი (მასალიტინი), ბარანაუსკასი, ივანაუსკასი, ჯორნეევი, ტატარჩუკი, ნარბეკოვასი.

რეკორდების წვიმა „ფორო იტალიკოზე“

(დასასრული)

საათი და 20,45 წუთი. ხაბჭოთა ხპორტხმენმა ვიქტორ მოსტოვოკმა მეოთხე ადგილი დაიკავა (1:21.53). ქალთა ხპრინტში 100 მეტრზე პირველნი იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოხნები. მხოფლიო რეკორდსმენი და ჩემპიონი ხიგრძეზე ხტომაში ჰაიკე დრექხლერი ოდნავ შეყოვნდა ხტარტზე და ფინიშთან მეორე იყო (11 წამი ზუხტად), გამარჯვება კი მოიპოვა იენელმა ხტუდენტმა ხილკე გლადიშმა — 10,90. ამ დისტანციის ფინალში ხაბჭოთა ხპრინტერი ქალები ვერ მოხვდნენ.

* * *

1912 წლის 17 ივნისს შეიქმნა ხაერთაშორისო ხამოყვარულო მძლეოხნური ფედერაცია — იააფ-ი, რომელხაც წლეულს არხებობის 75 წელი შეუხრულდა.

მძლეოხნობა ხპორტის ყველაზე პოპულარული ხახეობაა მხოფლიოში. რბენა, ხიარული, ხტომა, ტყორცნა — ადამიანის ყველაზე უფრო ბუნებრივ მოძრაობებს წარმოადგენს, ამიტომაც, შეიძლება ითქვას, თითოეული ჩვენგანი პოტენციური მძლეოხანია. იააფ-ი თავის რიგებში აერთიანებს 179 ქვეყნის ეროვნულ ფედერაციებს, მძლეოხნობა ძველი თუ ახალი ხანის ოლიმპიური თამაშების პროგრამის უპირველეხი შემადგენელი ნაწილია და მით უფრო გახაკვირია, რომ ამჟამად იტალიის დედაქალაქის „ფორო იტალიკოს“ ხტადიონზე მხოფლიო ჩემპიონატის მხოლოდ მეორე ახპარეზობა მიმდინარეობს.

ჩემპიონატში 165 ქვეყნის 1741 ხპორტხმენი (მათ შორის 657 ქალი) მონაწილეობს. შეჯიბრებას 2.750 ყურადღებიტი ემხახურება, მხოფლიოს უდიდეხი ტელეკომპანიები აწყობენ გადაცემას ყველა კონტინენტის ქვეყნებში, მძლეოხნობის ხაერთაშორისო ფედერაციამ (პრეზიდენტი იტალიელი პრომო ნებიოლო) ჩემპიონატის ხაპატიო ხტუმრებად მიიწვია წარხულის გამოჩენილი მძლეოხნები ჰოლანდიელი ხპრინტერი ქალი ფ. ბლანკერს-კოენი, ამერიკელი ხამაღლეზე მხტომელი ჯ. ფოხბიური, ეთიოპიელი ხტაიერი მ. იფტერი და ხხვანი, მათ შორის ცნობილი ხაბჭოთა მძლეოხნებიც.

რეკორდი მძლეოხნობაში, განხაკუთრებით მის ურთულეს ხახეობებში, უნიკალური მოვლენაა. 100 მეტრზე რეკორდის დამყარება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე 5 ათას ან 10 ათას მეტრზე რბენაში. მხოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე უახლოეს პერიოდში დამყარებული იქნა რამდენიმე მხოფლიო რეკორდი: ჩეხოხლოვაკიელმა ი. ჟელეზნიმ შუბი ტყორცნა 87 მეტრზე და 66 ხანტიმეტრზე, ქალთა შორის ამავე ხახეობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა პ. ფალკემ ახალი მხოფლიო რეკორდი დაამყარა — 78 მ და 90 ხმ. ხაბჭოთა მძლეოხანმა ს. ბუბკამ ჰოკით ხტომაში 6 მეტრი და 03 ხმ დაძლია, ბულგარელმა თარჯრბენმა ქალმა გ. ზაგორჩევამ 100 მეტრი დაფარა 12,25 წამში, მხხმა თანამემამულემ ხ. შაროვმა რეკორდი ხამხტომში 17 მეტრხა და 81-ხმ-მდე აიყვანა. ხპორტული ხამყარო განაცვიფრა ხაბჭოთა ხპორტხმენის რ. ემიანის შედეგმა ხიგრძეზე ხტომაში — 8 მეტრი, 86 ხმ, ეს კი მხოლოდ 4 ხმ-ით ჩამორჩება ამერიკელი რ. ბიმონის ფანტასტიკურ მხოფლიო რეკორდს.

განვლილ კვირას ტელევიზიით ვიხილეთ ახალი მხოფლიო რეკორდები, რომლებიც „ფორო იტალიკოს“ ხტადიონზე დაამყარეს ქანდელმა ხპრინტერმა ბენჟამენ ჯონხონმა, ბულგარელმა ხიმაღლეზე მხტომელმა ქალმა ხტეფკა კოხტადინოვამ და იტალიელმა მოხიარულემ მაურიციო დე ბილანომ. ხამივე ახალ მხოფლიო რეკორდხმენს ბარწყინვალე მაჩვენებლები აქვთ, წინ კი პროგრამის მრავალი ხაინტერეხო ხანახაობა მოგველის.

ფედერაციის თასზე

29 აგვისტოს გაიმართა ხსრ კავშირის ფებბურთის ფედერაციის თასის ხაკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები.

ლანჩხუთის „გურიისა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრის შედეგი ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან — 0:0. გთავაზობთ ხხვა მატჩების შედეგებს: ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი) 1:2, „არარატი“ — „ნეფთჩი“ 4:1, „ქაირათი“ — „ზენიტი“ 2:0, „დინამო“ (მინსკი) — „ყალგირისი“ 1:1, „შახტიორი“ — „დნეპრი“ — 2:2, „დინამო“ (კიევი) — „მეტალისტი“ 5:3, „სპარტაკი“ — „ტორპედო“ 1:0.

საქართველოს პირველობა

29 და 30 აგვისტოს შედგა რესპუბლიკის ხაფებბურთო ჩემპიონატის 28-ე ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის:

ახალგ. ხაფებბ. ხკოლა (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:4, „კოლხეთი“ (ხობი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:0, „დინამო“ (გაგრა) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:1, „ხაპოვნელა“ (თერჯოლა) — „ხალხინო“ (გეგეჭკორი) 1:1, „სულორი“ (ვანი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 4:0, „მერცხალი“ (ზახარაძე) — ფიზკულტურის ინხტიტუტი (თბილისი) 4:0, „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი)—„ხამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:0, „ივერია“ (ხაშური) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 2:0, „ამირანი“ (ონიმჩირე) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 1:1, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „სქურა“ (წალენჯიხა) 1:0, „არმაზი“ (მცხეთა) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:3, „დინამო“ (ზუგდიდი) — „კახეთი“ (თელავი) 3:1.



I ლიგა

30 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფებბურთელთა ხაკავშირო გათამაშების 30-ე ტურის მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელები ვოროშილოვგრადში შეხვდნენ „ზარიას“ და ფრედ დაამთავრეს თამაში — 2:2.

ბათუმის დინამოელებმა დონის როსტოვში მარცხი განიცადეს ადგილობრივ არმიელთა გუნდთან შეხვედრაში — 0:1.

ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ოდესაში „ჩერნომორეცსა“ და რიგის „დაუგავას“ შორის ფრედ დამთავრდა — 1:1.

ხხვა შეხვედრათა შედეგები: ხსკ „კარპატი“ (ლვოვი) — „შინიკი“ (იაროხლავლი) 2:0, „კრილია ხოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „დინამო“ (ხტავროპოლი) 1:0, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „როხტოველმაში“ (დონის როხტოვი) 1:1, „ლოკომოტივი“ (მოხკოვი) — „კოლხი“ (ნიკოპოლი) 2:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:0, „ხპარტაკი“ (დუშანბე) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 0:0, „ფახთაკორი“ (ტაშკენტი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 0:0, „კოტაიკი“ (ბობრუიხკი) — „ხპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ხექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომ.“	29	19	9	1	51-18	47
„ლოკომ.“	29	16	10	3	40-17	42
„დაუგავა“	27	14	9	4	44-22	37
„კოლხი“	29	14	4	11	42-42	32
„კუზბასი“	29	11	10	8	28-19	32
„როხტველ.“	28	11	10	7	37-32	32
ხსკ „კარპ.“	29	11	9	9	42-30	31
„ფახთაკ.“	29	11	9	9	30-27	31
„პამირი“	29	12	6	11	38-35	30
„გეოლოგი“	29	11	6	12	31-34	28
„დინ.“ სტ.	28	9	10	9	30-34	28
„შინიკი“	28	10	6	12	16-26	26
„მეტალ.“	28	9	8	11	37-35	26
„ზარია“	28	8	10	10	28-40	26
„დინ.“ ბ.	29	8	9	12	24-26	25
„ხპარტაკი“	28	8	8	12	22-28	24
ხსკ რ.	28	10	3	15	22-34	23
„როტორი“	29	9	5	15	31-42	23
„კრ. ხოვ.“	29	7	9	13	23-34	23
„კოტაიკი“	28	9	4	15	31-42	22
„ტორპ.“ ქ.	29	6	10	13	20-36	22
„ფაკელი“	29	4	10	15	19-33	18

მსაჯთა რეესტრი

სსრ კავშირის ფებბურთის ფედერაციამ დაამტკიცა მსაჯები, რომლებიც ჩაატარებენ უმაღლესი ლიგის ხაკავშირო ჩემპიონატისა და ფებბურთის ფედერაციის თასის მატჩებს. გთავაზობთ იმ არბიტრთა ვინაობას, რომლებიც იმხჯებენ ხაქართველოს გუნდების მატჩებს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

2 ხექტემბერი

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა. მსაჯი ა. ხობრიაკოვი (იოშკარ-ოლა).

21 ხექტემბერი

„დინამო“ (თბილისი) — „ნეფთჩი“ (ბაქო). ა. კირილოვი (მოსკოვი).

29 ხექტემბერი

„გურია“ (ლანჩხუთი) — ცსკა. ბ. კ.ობიჩიკი (ჩერნოვცი).

ფებბურთის ფედერაციის თასი

6 ხექტემბერი

„ნეფთჩი“ (ბაქო) — „დინამო“ (თბილისი). ა. ხავკინი (მოსკოვის ოლქი).

„არარატი“ (ერევანი) — „გურია“ (ლანჩხუთი). ა. ბარიშნიკოვი (მოსკოვი).

25 ხექტემბერი

„დინამო“ (თბილისი) — არარატი“ (ერევანი). ა. ბარიშნიკოვი (მოსკოვი).

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ნეფთჩი“ (ბაქო). ა. ხავკინი (მოსკოვის ოლქი).

თბილისელი არბიტრი ვ. მიმინოშვილი 20 ხექტემბერს იმხჯებს ხაკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩს კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „ხპარტაკს“ შორის.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (მოსკოვი). გ. გალიკოვი (ლენინგრადი).

12 ხექტემბერი

„არარატი“ (ერევანი) — „დინამო“ (თბილისი). ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

„ნეფთჩი“ (ბაქო) — „გურია“ (ლანჩხუთი). ვ. ლისენკო (ოდესა).

20 ხექტემბერი

„გურია“ (ლანჩხუთი) — „არარატი“ (ერევანი). ხ. ჰუხაინოვი (მოსკოვი).

სპორტული სექტემბერი

5-7. ქართული ჭიდაობა. (ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით). **ცხინვალი.**

5-7. ლელობურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი. **გეგეჭკორი.**

5-7. წყალში ხტომა. საერთაშორისო ტურნირი — სსრ კავშირი — აშშ. **თბილისი.**

8-20. ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა შესარჩევი მატჩ-ტურნირი. **თბილისი.**

9-10. ბატუტზე ხტომა. რესპუბლიკური პირველობა ახალგაზრდებს შორის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. **ბათუმი.**

11-13. ველოსპორტი (ტრეკი). ამიერკავკასიის ქალაქების გოგონათა, ჭაბუკთა და იუნიორთა სამატჩო შეხვედრა. **თბილისი.**

11-21. ჭადრაკი. (ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით). **თბილისი.**

12-14. წყალბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.**

12-13. ძძლეოსნობა. (ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით). **თბილისი, ჭიათურა.**

12-13. მშდ მრავალჭიდი. საქართველოს ჩემპიონატი რესპუბლიკის სპორტსაბჭოს პრიზზე — ზონალური შეჯიბრება. **ბორჯომი, ტყიბული, ზუგდიდი, ჭიათურა, გურჯაანი.**

13. ხელოვნურხაფარიანი ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. საქართველოს ზაფხულის ჩემპიონატი. **ბაკურიანი.**

14-21. ხაგზატყეცილო ცელოსნობა. საქართველოს პირველობა მრავალდღიან რბოლაში. **თბილისი.**

14-15. ძალოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი. **საჩხერე.**

16-20. ცხენოსნობა. სსრ კავშირის ჩემპიონატი ეროვნულ სახეობებში. **ცხაკაია.**

18-20. სამბო. (ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით). I ზონა. **ახმეტა.**

19-21. ქართული ჭიდაობა. (ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით). II ზონა. **ტყიბული.**

21-27. ფარიკაობა. (ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით). **ბათუმი, ჭიათურა.**

22-26. მშვილდოსნობა. ამიერკავკასიის რესპუბლიკების თასის გათამაშება. **თბილისი.**

23-26. სპორტული ტანვარჯიში. საქართველოს XXXIII ახალგაზრდული რესპუბლიკური პირველობა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე (ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით). **ბათუმი.**

24-26. კალათბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ვაჟთა გუნდებს შორის — უმაღლესი ლიგა. **თბილისი.**

25-27. თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა 48-52-57-68-74 წონით კატეგორიებში. **ხობუმი.**

25-27. სამბო. (ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით). II ზონა. **ტყიბული.**

25-27. ძძლეოსნობა. საქართველოს ღია ჩემპიონატი. იუგოსლავიელი სპორტსმენების მონაწილეობით. **თბილისი.**

25-30. ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის. II წრე. **ტყიბული.**

26-28. ქართული ჭიდაობა. (ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით). ფინალი. **ხაშური.**

26-27. აკადემიური ნიჩბოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი. **ფოთი.**

26-27. მშდ მრავალჭიდი. საქართველოს ჩემპიონატი — ფინალური შეჯიბრება. **ჭიათურა.**

26-28. კლასიკური ჭიდაობა. საქართველოს თასის ღია გათამაშება 1970-71 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**

27-29. ველოსპორტი (ტრეკი). საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.**



ქალთა XXI...

დღეს ესპანეთში სტარტს აიღებს ევროპის კალათბურთელ ქალთა XXI ჩემპიონატი, გავიხსენოთ ჩემპიონატების ისტორია.

მეორე მსოფლიოს ომამდე გაიმართა მხოლოდ ერთი ჩემპიონატი, რომელსაც 1938 წელს იტალიამ უმასპინძლა. ამ შეჯიბრებაში უძლიერესის სახელი (ასპარეზობაში საბჭოთა კავშირის ნაკრები არ მონაწილეობდა) მასპინძლებმა მოიპოვეს. ომისშემდგომი პირველი ჩემპიონატი 1950 წელს ბუდაპეშტში ჩატარდა და საბჭოთა კავშირის ნაკრების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. აქედან იწყება საბჭოთა კალათბურთელების ტრიუმფალური გამოსვლები კონტინენტის ჩემპიონატებში. ევროპის 18-გზის ჩემპიონმა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მხოლოდ ერთხელ, 1965 წლის ჩემპიონატზე წაიფორხილა — ფინალური მატჩი წააგო ბულგარეთის ნაკრებთან — 51:54. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ნაკრებმა ჩემპიონატის 132 მატჩიდან 131 მოიგო და მხოლოდ ერთში დამარცხდა, რაც ჭეშმარიტად უნიკალური მოღწევაა. გუნდს სხვადასხვა დროს წარმატებით უძღვებოდნენ: კონსტანტინ ტრავინი, ივან ლისოვი, სტეპას ბუტაუტაში, ლიდია ალექსეევა, ვადიმ კაპრანოვი.

წელს ევროპის ჩემპიონატის მონაწილე 12 გუნდი ორ ჯგუფად გაიყო. ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები ნახევარფინალში იასპარეზებენ, ხოლო მათ შორის გამარჯვებულები 10 სექტემბერს ფინალურ მატჩში ითამაშებენ.

მიმომხილველთა დიდი ნაწილი ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად საბჭოთა კავშირის ნაკრებს ასახელებს. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში ევროპაში კონკურენციამ შესამჩნევად იმატა — თამაშის კლასი დანარჩენმა გუნდებმაც აიმაღლეს, რაც ქალთა კალათბურთის აღმავლობაზე მეტყველებს. ამაში გვარწმუნებს ზაგრების მსოფლიოს უნივერსიადის ფინალურ მატჩში იუგოსლავიის ნაკრების საბჭოთა კავშირის ნაკრებთან გამარჯვება — 80:73, ახლახან კი ბულგარეთში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირზე მასპინძლებმა დაძაბული ბრძოლა მოუგეს საბჭოთა კავშირის ნაკრებს — 104:99. ამიტომ, მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ამჯერად ჩემპიონატზე ბრძოლა უკომპრომისო იქნება.

მერაბ კალანდაძე,



მკითხველი — გაზეთი

ამას წინათ თქვენს გაზეთში წერდით, რომ ქართველმა მოკრივემ თ. ცქიკელიძემ გაიმარჯვა კიროვაკანში გამართულ ლეონ თემურიანის მემორიალში.

გთხოვთ გაზეთის ფურცლებზე გვიამბოთ თვით ლ. თემურიანის შესახებ.

ი. ნაკაიძე.

დუშეთი.

ლეონ თემურიანი



უარაბახები მთა-გორებში დაბადებულმა ლეონ თემურიანმა ყმაწვილკაცობა ბაქოში გაატარა. მუშის ოჯახში აღზრდილი მომავალი მოკრივე მამის კვალს გაჰყვა და უროს სცემდა შმიდტის სახელობის ქარხანაში. ამ მძიმე ხელობამ კიდევ უფრო გააკაჟა მისი ისედაც ძლიერი სხეული და დიდი მუხტი შესძინა მის მუშტს. ერთი სპორტული ჟურნალისტი, რომელიც გააოცა ამ მოკრივის ძალამ, წერდა: თემურიანს უროს დამკვრელივით ძლიერი დარტყმა აქვსო, ის კი არ უწყოდა, რომ იგი მართლაც ამ პროფესიამ გამოაწრთო. გარდა ფენომენალური ფიზიკური მონაცემებისა, ლეონ თემურიანს ბუნებამ უდრეკი ხასიათი და უტეხი ნებისყოფა დაუანთლა. ეს რკინისებრი დისციპლინის მიმდევარი სპორტსმენი მომთხოვნი იყო არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ სხვათა მიმართაც. ცნობილი მწვრთნელის გურგენ გასპარიანისა და ცნობილი მოკრივის ანდრო ნავასარდოვის მოგონებით მოსკოვში ერთი ფრიად საპასუხისმგებლო შეხვედრის დროს თემურიანს მძიმე წონასან ისრაელიანთან ერთად მიუჩინეს ბინა. ეს ორი ადამიანი ფიზიკური გაბარიტებით დავითსა და გოლიათს მოგაგონებდათ, ოღონდ ისრაელიანი დაგვიანებასაც კი ვერ ბედავდა თურმე მომცრო ტანის, მაგრამ მკაცრი და მუშტივით შეკრული თემურიანის რიდით.

კუნთმაგარმა და სულით მტკიცე სპორტსმენმა მალე გაიკაფა გზა კრივის მწვერვალებისკენ და 30-იან წლებში რამდენჯერმე მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა უმჩატეს წონაში.

სომეხმა მოკრივემ საერთაშორისო რინგზეც ისახელა თავი. 1937 წელს იგი წარმატებით გამოვიდა ანტვერპენში, მუშათა ოლიმპიადაზე, სადაც მხარი დაუმშვენა რინგის ისეთ ოსტატებს, როგორებიც იყვნენ კოროლიოვი, ჭიხაილოვი, ოგურენკოვი.

მან წარმატებით ჩაატარა აგრეთვე საჩვენებელი გამოსვლები საფრანგეთში. თემურიანი დინჯად და გამოზომილად ირჯებოდა რინგზე, გამუდმებით ავიწროებდა მეტოქეს, მერმე კი იფეთქებდა და ბრძოლას ნოკაუტით ამთავრებდა. პარიზის პრესამ მას „ჰატარა ტანკი“ შეარქვა.

რინგის რაინდმა დიდ სამამულო ომშიც გამოიჩინა გმირობა. იგი გახლდათ სამხედრო ტყვეთა ამბოხების ერთ-ერთი მოთავე, რასაც მოწმობს დახაუს სიკვდილის ბანაკში აღმოჩენილი დაფა წარწერით: „ბანაკის იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრი ლეონ თემურიანი მხეცურად აწამეს და მოკლეს ფაშისტებმა“.

ამ მოკრივეს დიდად აფასებენ იმდროინდელი ტყავის ხელთათმანის ოსტატები და თავიანთ მემუარებში ეპითეტებს არ იშურებენ მისთვის. „ლომივით ღონიერი“, „მოკრივე, რომელმაც არ იცოდა რა იყო შიში“, „მებრძოლი, რომელსაც არ სჩვეოდა უკან დახევა“ — ასე ახასიათებენ ისინი თემურიანს.

ლეონ თემურიანი სამშობლოში სპორტსმენის ეტალონად არის მიჩნეული. ამიტომაც იქცა სომხეთში ტრადიციად მისი მემორიალის ჩატარება და ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის შესასვლელს ამიტომაც ამშვენებს მისი ქანდაკება.

ედიშერ გიორგაძე.

ლომბიერი განაჩენი

საფრანგეთის მძლეოსნობის ფედერაციამ ორ თავის თანამემამულეს ლუისს დეძონსა და ერიკ დე სტევნდს დოპინგის მიკვებისათვის 18 თვით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, ეს მოხდა ეროვნული პირველობის დღეებში, რომელიც ამავე დროს მსოფლიო ჩემპიონატისთვის შესარჩევ ტურნირს წარმოადგენდა.

კორესპონდენტებთან საუბარში დისკვალიფიცირებულმა სპორტსმენებმა განაცხადეს: „ეს შესარჩევი ტურნირი უსათუოდ უნდა მოგვეგო. სხვაგვარად რომ ვერ მოვხვდებოდით. არა და, მარადიული ქალაქის ნახვა ჩვენი ბავშვობის ოცნება იყო. სულმაც სწორედ ამის გამო წაგვძლია“.

ფედერაციამ მხედველობაში მიიღო ის, რომ აღნიშნული მძლეოსნები დოპინგის მიღებაში პირველად არიან შეჩნეული და ლმობიერი განაჩენი ამიტომ გამოიტანა, თუმცა თავად სპორტსმენები თვლიან, რომ მათ მეტად მკაცრად მოექცნენ.

კახტანგ კუციას ნახატები.



გუშინწინ გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, XXXV ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 3 (ბობსლეი), 10 (წყალბურთი), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 31 (ფარიკაობა), 41 (მაგიდის ჩოგბურთი), 42 (ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 15 (ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 28 (ტყვიის სროლა), 33 (ფეხბურთი).

ეკრანზე...

ცენტრალური ტელევიზია. 1 სექტემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **19.45 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში — **20.15 (2)** და **22.50 (1);** ვ. სავინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ფრენბურთში — **24.00 (2).**

„სპორტპროგნოზის“ მოყვარულთა საყურადღებოდ!

„ლელოს“ 30 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ „სპორტპროგნოზის“ კალენდარში 26 ტირაჟის ნაცვლად უნდა იყოს **36 ტირაჟი.**

რედაქტორის მოადგილე უ. ჯიჯინაძე.

სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექცია გიწვევთ გამაჯანსაღებელ ჯგუფებში სამეცადინოდ (ასაკის შეუზღუდავად). აქ თქვენ მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური მწვრთნელები. ჯგუფები იმუშავებს შემდეგ სახეობებში:

საერთო ფიზიკური მომზადება,
საერთო ტანვარჯიში,
რიტმული ტანვარჯიში,
ძალოსნური ტანვარჯიში,
ჭიდაობა საბრძ,
ჩოგბურთი.

ცნობებისთვის მიმართეთ: სპორტკომბინატი „დინამო“ (აკ. წერეთლის გამზ. № 2) ტელ. 95-39-68, 95-03-76; ჩოგბურთის კორტები (სტალინის სახ. სანაპირო № 2).

ტელეფონი: 95-59-05.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 84435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07149